

**დამტკიცებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის  
დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის  
№51 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის  
კოლეჯის დირექტორის  
2022 წლის 17 აგვისტოს N 110  
ბრძანებით



სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება

მისამართი: ქ.თბილისი, ქ. თბილისი თემქის დასახლება,  
მე-11 მკ.რ. მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10

პროგრამის ხელმძღვანელი: დალი იობიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: [dali.iobidze@railway.ge](mailto:dali.iobidze@railway.ge)  
მობ. ტელ.: 598 59 76

თბილისი  
2022 წ.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - რკინიგზის ოპერირება / Railway Operation
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07118-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში / Secondary Vocational Qualification in Railway Operation (კვალიფიკაციის კოდი 1041)  
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს: „ტრანსპორტის მომსახურება“, კოდი 1041, აღმწერი - „შეისწავლის გემის, მატარებლის, ავტომობილის, საჰაერო ხომალდების და სხვა ფორმის ტრანსპორტის ფუნქციონირებას/ოპერირებას, ნავიგაციასა და მართვას.“

### 4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

### 5. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ოპერირების ორგანიზაციებში სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტად.  
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO შესაბამისი კოდები: ნაწილობრივ 8312, 7421.

### 7. სტრუქტურა და მოდულები

არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ჯამური ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ჯამური ოდენობით; დარგობრივი მიმართულებით - 6 სპეციალიზაციის მოდულს 50 კრედიტის ჯამური ოდენობით;

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 24 თვე;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 29 თვე.

<b>ქართული ენის მოდულები</b>		
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედ.</b>
01	ქართული ენა A2	15
02	ქართული ენა B1	15
<b>სულ:</b>		<b>30</b>
<b>ზოგადი მოდულები</b>		
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
3.	მეწარმეობა 2	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
<b>სულ:</b>		<b>15</b>

<b>საერთო პროფესიული მოდულები</b>		
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
6.	საინჟინრო გრაფიკა	3
7.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
8.	რკინიგზების ზოგადი კურსი	3
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6
11.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
12.	გაცნობითი პრაქტიკა - რკინიგზის ოპერირებაში	2
13.	მეტროლოგია	3
<b>სულ:</b>		<b>25</b>

<b>რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება - კონცენტრაციის მოდულები</b>		
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
14.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება	2
15.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება	3
16.	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	16
17.	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	16
18.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი	7
19.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა	6
<b>სულ:</b>		<b>50</b>

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით; 5 ინტეგრირებულ მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 143 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 31 თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 31 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 173 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 36 თვე

<b>ქართული ენის მოდულები</b>	
<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
01 ქართული ენა A2	15
02 ქართული ენა B1	15
<b>სულ:</b>	<b>30</b>

<b>ინტეგრირებული მოდულები</b>	
<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
1. კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2. მეწარმეობა	4
3. მათემატიკური წიგნიერება	14
4. მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
5. მოქალაქეობა	10
<b>სულ:</b>	<b>60</b>

<b>ზოგადი მოდულები</b>	
<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
6. უცხოური ენა	5
7. ინფორმაციული წიგნიერება 1	3
<b>სულ:</b>	<b>8</b>

საერთო პროფესიული მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
საინჟინრო გრაფიკა	3
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
რკინიგზების ზოგადი კურსი	3
ზოგადი ელექტროტექნიკა	3
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
გაცნობითი პრაქტიკა - რკინიგზის ოპერირებაში	2
მეტროლოგია	3
<b>სულ:</b>	<b>25</b>

რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება - კონცენტრაციის მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება	2
2.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება	3
3.	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების საგადასარბენო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	16
4.	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	16
5.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი	7
6.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებთან აღმოფხვრა	6
<b>სულ:</b>		<b>50</b>

პროგრამის განხორციელების დუალური მიდგომის ფარგლებში დარგობრივი მოდულებით მისაღწევი სწავლის შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და წარმოებას შორის

სწავლის შედეგის მიღწევის ადგილი	სწავლის შედეგების რაოდენობა	სწავლის შედეგების %-ული შემადგენლობა
---------------------------------	-----------------------------	--------------------------------------

კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგები	12	38,7%
წარმოებაში მისაღწევი სწავლის შედეგები	19	61,3%

#### 8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
3. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
4. იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
5. უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
6. წაიკითხოს ნახაზები და სქემები;
7. დაგეგმოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტის სამუშაო პროცესი;
8. გამოიყენოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული, ელექტრონული და ელექტრული ტექნიკა;
9. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
10. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
11. შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი;
12. მოახდინოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა.

#### 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „რკინიგზის ოპერირება“ საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 61,3% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

#### 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 61,3% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი**

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

დანართი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმები, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);

პროგრამის ხელმძღვანელი:

*ა.ობრე*

დალი იობიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი:

*გ.გ.*

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი:

*პ.პ.*

